პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 29 (10423)

პარასკევი, 3 თებერვალი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ.“

დადგენილებაში დასახულია ღონისძიებები, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდის უახლოეს ორ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას კარტოფილისა და ბოსტნეულის — მოსახლეობისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტებისა და გადამმუშავებელი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების და დამზადების გადიდების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 იანვრის დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელების შედეგად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებმა გააფართოეს კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები, გაადიდეს ამ კულტურების საერთო მოსავალი და დამზადება. მაგრამ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების დონე კვლავ მეტად არასაკმაოა და ვერ უზრუნველყოფს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებებს. შეზღუდული ოდენობით ხდება კარტოფილის გამოყოფა საზოგადოებრივი მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საჭირო ყურადღებას არ უთმობენ ამ უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურების განვითარებას. კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის აგროტექნიკა ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, აჭიანურებენ რგვის, თესვის ვადებს, დროზე არ ხორციელდება მწკრივთაშორის დამუშავება და მოსავლის აღება, რაც იწვევს მოსავლის შემცირებასა და დიდ დანაკარგებს. სუსტად ინერგება ამ კულტურების მოყვანის მოწინავე ხერხები. კარტოფილის მეთესლეობა თავმინებებულია. მინქანა-ტრაქტორთა სადგურები დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ არსებულ ტექნიკას, ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში.

მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა არასაკმაო ეკონომიური დაინტერესება. დამზადებისა და შესყიდვის მოქმედი ფასები არ იძლევიან სტიმულს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად. კოლმეურნეობები უმნიშვნელო შემოსავალს იღებენ მეურნეობის ამ დარგებიდან.

სერიოზული ნაკლოვანებებია კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების საქმესა და ვაჭრობაში. კარტოფილისა და ბოსტნეულის გადაზიდვის და შენახვის დროს არის დიდი დანაკარგები, რაც მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. კარტოფილისა და ბოსტნეულის გადაზიდვისა და შენახვის ხარჯები სავაჭრო ორგანიზაციებში კვლავ ძალიან დიდია.

იმ მიზნით, რომ სტიმული მიეცეს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებას ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობის სრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

I. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება იმისათვის, რომ უკვე 1956 წელს მკვეთრად გადიდდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას ამ კულტურების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმების უთუოდ შესრულება. ამ მიზნით:

ა) უზრუნველყოფილ იქნას კარტოფილის სათესლე ფონდების გამოყოფა მთელი სათესი ფართობისათვის სრული ნორმით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც თესლი აკლიათ, მოეწყოს კარტოფილის ყიდვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გადაცვლა, დაწესდეს მტკიცე კონტროლი კარტოფილის სათესლე ფონდების დაცვისადმი, გადაჭრით აღიკვეთოს თესვის ნორმების შემცირების ყოველგვარი ცდა.

გაუმჯობესდეს კარტოფილის მეთესლეობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა უახლოეს ორ წელიწადში უზრუნველყოფილ იქნას მთლიანად ჯიშიანი თესლის თესვაზე გადასვლა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კარტოფილის საადრეო და კირჩხიბგამძლე ჯიშების ნათესების გაფართოებას;

ბ) გადიდდეს კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესებში ორგანული სასუქის შეტანა, განსაკუთრებით ტორფნაკელისა და ტორფწუნწუხის კომპოსტების სახით, რისთვისაც მოეწყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტორფის დამუშავება და ტორფის დროზე დამზადება კომპოსტების გასაკეთებლად. უზრუნველყოფილ იქნას მინერალური სასუქების დროზე გატანა სოფლმომარაგების საწყობებიდან და მათი უფრო სწორი გამოყენება;

გ) უახლოეს დროში დამთავრდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის სათესი, სარგავი, მწკრივთაშორის დასამუშავებელი და მოსავლის ასაღები ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანის შეკეთება, საჭირო რაოდენობით მომზადდეს მემანქანეები და მიმბმელები ამ მანქანებზე სამუშაოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კადრების მომზადებას კარტოფილსათეს და ჩითილსარგავ მანქანებზე სამუშაოდ;

დ) აღმოიფხვრას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუპიროვნება კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. მიეჩინოს ამ კულტურების ნათესი ფართობები ბრიგადებსა და რგოლებს, ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ბრიგადებსა და რგოლებს ამ კულტურების უხვი მოსავლის მიღებაში. დაწესდეს მტკიცე კონტროლი იმაზე, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის დროზე და სრულად გაიცეს დამატებითი გასამრჯელო;

ე) მიღწეულ იქნას, რომ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვა, განსაკუთრებით მწკრივთაშორის დამუშავება და მოსავლის აღება წარმოებდეს საუკეთესო აგროტექნიკური ვადებში;

ვ) უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველგან დაინერგოს კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის აგროტექნიკის ისეთი ხერხები, როგორიც არის კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვა და რგვა, კარტოფილის ტუბერების გაახალთესლება, ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალას ქოთნებში, კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესებში ორგანულ-მინერალური ნარევებისა და ბაქტერიული სასუქის შეტანა. კარტოფილის თესვის დროს გამოყენებულ იქნას მსხვილი ტუბერების დაჭრა, წვერისა და კვირტის თესვა, ამასთან დაცულ იქნას ყველა საჭირო აგროტექნიკური მოთხოვნა, აუცილებლად შეტანილ იქნას მინერალური, ადგილობრივი სასუქები და ორგანულ-მინერალური ნარევები.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დამაკმაყოფილებლად ვერ შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება საგარეუბნო ზონების კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების თესვის კონცენტრაციის, ნოღა და სარწყავ მიწებზე კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისა და რგვის გადიდების შესახებ და დაევალოს მათ მიიღონ დამატებითი ღონისძიებანი ბოსტნეულის თესვის შემდგომი კონცენტრაციისა და ამ კულტურების რგვისა და თესვის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის ნოღა, სარწყავ მიწებზე და ამოშრობილ ტორფიან ადგილებში.

3. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა ეკონომიური დაინტერესება კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების, დამზადებისა და შესყიდვის გადიდებით, გადიდდეს დაწყებული 1956 წლის მოსავლიდან, კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის ფასები:

ა) დაწესდეს კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებში დასამზადებელი კარტოფილის ფასები შემდეგი ოდენობით: მოსკოვის, არხანგელსკის, ველიკიე ლუკის, ვოლოგდის, ვლადიმირის, გორკის, ივანოვოს, კალინინგრადის, კალინინის, კალუგის, კემეროვოს, კუიბიშევის, ლენინგრადის, მოლოტოვის, ნოვგოროდის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკის, პსკოვის, რიაზანის, სვერდლოვსკის, ტულის, ჩელიაბინსკის, იაროსლავლის, არზამასის, სმოლენსკის, ბრიანსკის, როსტოვის, გროზნოს, კამენკის, ბელგოროდის, ვორონეჟის, კიროვის, კოსტრომის, კურსკის, ლიპეცკის, ორიოლის, ტამბოვის ოლქებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, დაღისტნის ასსრ, ყაბარდოს ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ბაშკირეთის ასსრ, თათრეთის ასსრ, კომის ასს რესპუბლიკაში, უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის, ჟიტომირის, კიევის, სტალინოს, სუმის, პოლტავის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ოდესის, ყირიმის, ხერსონის, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევის, ლვოვის, ტერნოპოლის, იმიერკარპატის ოლქებში, ბელორუსიის სსრ მინსკის, მოგილიოვის, გომელისა და გროდნოს ოლქებში, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სს რესპუბლიკაში — ერთი ტონა საგვიანო კარტოფილის დამზადების ფასი — 330 მანეთი და შესყიდვის ფასი — 530 მანეთი, აგრეთვე ერთი ტონა საადრეო კარტოფილის დამზადების ფასი 31 ივლისამდე ჩაბარებისას — 750 მანეთი, 1-დან 15 აგვისტომდე ჩაბარებისას — 600 მანეთი და 16-დან 31 აგვისტომდე ჩაბარებისას — 400 მანეთი;

ზღვისპირეთის, ხაბაროვსკის მხარეებში, ამურის, კამჩატკის, მაგადანის, სახალინის ოლქებში, იაკუტიის ასს რესპუბლიკაში, ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსისა და იამალ-ნენთა ეროვნულ ოლქებში ერთი ტონა საგვიანო კარტოფილის დამზადების ფასი — 450 მანეთი და შესყიდვის ფასი — 800 მანეთი, აგრეთვე ერთი ტონა საადრეო კარტოფილის დამზადების ფასი 31 ივლისამდე ჩაბარებისას — 900 მანეთი, 1-დან 15 აგვისტომდე ჩაბარებისას — 750 მანეთი და 16-დან 31 აგვისტომდე ჩაბარებისას — 650 მანეთი.

განთავისუფლდნენ, დაწყებული 1956 წლიდან, სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისაგან უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ჯამბულის, გურიევის, ყზილორდისა და სამხრეთ ყაზახეთის ოლქების, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ოშის, ჯალალ-აბადის ოლქების, ასტრახანის, ჩიტის ოლქებისა და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობები, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობები, ამასთან არ შეიცვალოს კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის საერთო გეგმა, დაწესებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 დეკემბრის № 2038 დადგენილებით, და შესაბამისად გადიდდეს კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვა.

დაწესდეს ერთი ტონა საგვიანო კარტოფილის შესყიდვის ფასი აღნიშნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში 530 მანეთი; 30 ივნისამდე ჩაბარებისას — 750 მანეთი, 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩაბარებისას — 600 მანეთი.

ყველა დანარჩენ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში ერთი ტონა საგვიანო კარტოფილის დამზადების ფასი დაწესდეს 250 მანეთი და შესყიდვის ფასი — 450 მანეთი, აგრეთვე ტონა საადრეო კარტოფილის დამზადების ფასი 31 ივლისამდე ჩაბარებისას — 700 მანეთი, 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე ჩაბარებისას — 550 მანეთი და 16 აგვისტოდან 31 აგვისტომდე ჩაბარებისას — 350 მანეთი.

კოლმეურნეობათა მერ 1 იანვრიდან 1 მარტამდე კარტოფილის გაყიდვისას ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში კოლმეურნეობებს, ზემოაღნიშნული ფასების გარდა, დამატებით მიეცეთ 60 მანეთი და 1 მარტის შემდეგ — 90 მანეთი ერთ ტონაში;

ბ) გაუდიდდეთ, 1956 წლის მოსავლით დაწყებული, დანამატები კოლმეურნეობებს — სათესლე სანერგეებს სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების შუამავლობის ნატურანაზღაურების ანგარიშში და სახელმწიფო შესყიდვით ჯიშიანი კარტოფილის ჩაბარებისათვის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ჯიშიან კარტოფილს სათესლედ აბარებენ დაწესებული გეგმის მიხედვით, და დანამატები გადახდილ იქნას შემდეგი რაოდენობით: პირველი კატეგორიის ჯიშიანი კარტოფილის ერთ ტონაში — 120 მანეთი და მეორე კატეგორიისა — 60 მანეთი.

დაწესდეს საადრეო ჯიშის სათესლე კარტოფილის შესყიდვის თასები 1.200 მანეთი პირველი კატეგორიის ჯიშიანი კარტოფილის ერთ ტონაზე და 1.000 მანეთი მეორე კატეგორიის ჯიშიანი კარტოფილის ერთ ტონაზე.

უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დააწესოს ელიტური კარტოფილის დამზადების ახალი ფასები.

4. გადიდდეს, 1956 წლის მოსავლით დაწყებული, კოლმეურნეობებისაგან, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებისაგან მიღებული ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის ფასები დაახლოებით 70 პროცენტით და დაწესდეს ისინი საშუალოდ კულტურების მიხედვით შემდეგი ოდენობით (მანეთობით ტონაში):

	დამზადების ფასები	შესყიდვის ფასები
კომბოსტო	250	380
ხახვი თავიანი	900	1.800
კიტრი	650	800
სტაფილო	450	700
სუფრის ჭარხალი	300	500
პამიდორი	700	900

ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში დანართის თანახმად.

ნივრისა: დამზადების ფასი 4 მანეთი და შესყიდვისა — 8 მანეთი კილოგრამში.

ტკბილი წიწაკის, ბადრიჯნის, ჭოტი მწვანე ბარდას, ყაბაყის დამზადების ფასები გადიდდეს საშუალოდ 75 პროცენტით.

5. ნება დაერთოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, 1956 წლის 1 თებერვლიდან გაადიდოს ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ჯიშიანი თესლის დამზადების ფასები საშუალოდ 12 პროცენტით და გასაცემი ფასები — 7,5 პროცენტით.

განთავისუფლდნენ მეთესლეობის კოლმეურნეობები, რომლებიც შეტანილი არიან ბოსტნეულის ჯიშიანი თესლის სამმართველოს მეთესლეობის ქსელში, ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

6. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყოს კვალსათბურის ბოსტნეულისა და მწვანილის, საადრეო და საგვიანო ბოსტნეულისა და კარტოფილის დაუბრკოლებელი მიღება კოლმეურნეობებისაგან, მიუხედავად მანძილისა, უშუალოდ მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ქალაქის ბაზებში ისე, რომ გადაუხადონ მათ საცალო ფასები 15 პროცენტის დაკლებით.

დაევალოს საოლქო, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ყოველწლიურად მიუჩინონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები მათთვის ბოსტნეულისა და კარტოფილის ჩასაბარებლად.

7. ბოსტნეულის გადამუშავების მაქსიმალური გადიდებით კოლმეურნეობათა დაინტერესების შექმნის მიზნით:

ა) უფლება მიენიჭოს კოლმეურნეობებს ჩააბარონ კიტრის, პამიდორის, კომბოსტოს მწნილი და სხვა გადამუშავებული ბოსტნეული უშუალოდ მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს საცალო ფასებში 15 პროცენტის დაკლებით.

დაწესდეს იმ კიტრისა და კომბოსტოს მწნილის ჩათვლის შემდეგი ეკვივალენტები, რასაც კოლმეურნეობები აბარებენ ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში უშუალოდ მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ პუნქტებს:

1.000 კილოგრამ კომბოსტოს მწნილში — 1.500 კილოგრამი ახალი კომბოსტო.

1.000 კილოგრამ კიტრის მწნილში — 1.500 კილოგრამი ახალი კიტრი;

ბ) უფლება მიეცეს „ცენტროსოიუზს“ კოლმეურნეობებთან დამწნილებული ბოსტნეულის ჩაბარების შესახებ ხელშეკრულების დადებისას გასცეს ფულადი ავანსი შესასყიდი პროდუქციის ღირებულების 25 პროცენტის რაოდენობით. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს მისცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს კრედიტი აღნიშნული ავანსის გასაცემად;

გ) ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს კოლმეურნეობების მიერ დამწნილებული ბოსტნეულის დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებისას, დამზადებისა და შესყიდვის დაწესებულ ფასებს გარდა, გადაუხადონ, 1 დეკემბრიდან დაწყებული, ყოველ თვეში ერთი ტონა პროდუქციის შენახვისათვის 15 მანეთი.

8. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მოაწყონ, 1956 წლიდან დაწყებული, დასამწნილებელი პუნქტები ბოსტნეულის გადასამუშავებლად და კასრის ტარის წარმოება. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოლმეურნეობებს მიჰყიდოს ხილ-ბოსტნეულის კასრის ტარა, რასაც სატყეო მეურნეობები ამზადებენ.

9. დაევალოს „ცენტროსოიუზს“ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყონ მშენებლობა დამზადებათა რაიონებში კარტოფილისა და ბოსტნეულის შესანახავი და გადასამუშავებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, რომელიც უზრუნველყოფს კარტოფილისა და გადამუშავებული ბოსტნეულის შენახვას მოსკოვისა და ლენინგრადის სამი თვის მოთხოვნილების ოდენობით.

დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1956-1957 წლებში განახორციელოს მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა დიდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში ბოსტნეულ-კარტოფილსაცავების მშენებლობა ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს კარტოფილისა და ბოსტნეულის შენახვას ექვსი თვის მოთხოვნილების ოდენობით.

დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და „ცენტროსოიუზს“ შეიმუშაონ და ორი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი, შეერანახავი და გადასამუშავებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და გაფართოების შესახებ.

10. გათვალისწინებულია რა, რომ საჭიროა გაძლიერდეს კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესება და საკოლმეურნეო ტრანსპორტის მაქსიმალურად გამოყენება დამამზადებელ პუნქტებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მისაზიდავად, კოლმეურნეობებს კარტოფილისა და ბოსტნეულის გადაზიდვის ფასი მიეცეთ ერთიანი ტარიფებით 25 პროცენტის დამატებით. საკოლმეურნეო ავტოტრანსპორტის გამოყენებისათვის დამამზადებელი ორგანიზაციების დამატებით ხარჯებს ანაზღაურებენ კარტოფილისა და ბოსტნეულის მიმღებნი.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რომ დაწესდეს ავტომეურნეობათა და კოლმეურნეობათა მატერიალური პასუხისმგებლობა გამოყენებული ავტოტრანსპორტის მოცდენისათვის, ფუჭი გარბენის, არასაკმაოდ დატვირთვისა და იმისათვის, რომ ამ ავტოტრანსპორტს დროზე არ მიაწვდიან კარტოფილისა და ბოსტნეულის გასაზიდავად კოლმეურნეობათა განაცხადების მიხედვით.

11. დაევალოს სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას გაანგარიშება თვითღირებულების გეგმისა და სხვა მაჩვენებლების, აგრეთვე შემოსავლისა და გასავლის ბალანსების შეცვლის შესახებ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის ახალი ფასების შემოღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა კომისიამ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ აღნიშნული გაანგარიშებანი და შეიტანონ საჭირო ცვლილებანი 1956 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და სათანადო სამინისტროთა და უწყებათა შემოსავლისა და გასავლის ბალანსებში.

12. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის კარტოფილით და ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესებისა და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის ამ პროდუქტების გარდამეტის გაყიდვაში დახმარების გასაწევად დაევალოს „ცენტროსოიუზს“ გააფართოოს კარტოფილის, ბოსტნეულისა და საადრეო მწვანილის ვაჭრობა საკომისიო პირობებით ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, რისთვისაც დამატებით გახსნას სულ ცოტა 150 სპეციალიზებული მაღაზია იმ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და საადრეო მწვანილის გასაყიდად, რომლებსაც საკომისიო წესით გაყიდვისათვის მიიღებს.

13. იმ მიზნით, რომ გადიდდეს ბოსტნეული კულტურების წარმოება და მოხდეს მათი ნათესების კონცენტრაცია და იმ კოლმეურნეობათა სპეციალიზაცია, რომლებიც მდებარეობენ დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების გარშემო და ბოსტნეულგადამმუშავებელი მრეწველობის ზონებში, აგრეთვე იმ რაიონებში, რომლებიც ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით ყველაზე უფრო ხელსაყრელია ბოსტნეული კულტურების მოყვანისათვის და გადაზიდვათა მაქსიმალურად შემცირებისათვის, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი 1957 წლიდან ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებიდან და დამზადებიდან კონტრაქტაციაზე გადასვლის შესახებ.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ყველა საჭირო პირობას ქმნის კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის და შესაძლებელს ხდის ბოლო მოეღოს ჩამორჩენას ამ კულტურების წარმოებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ფართოდ განუმარტონ ეს დადგენილება კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს და ისე მოაწყონ მუშაობა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომ უახლოეს ორ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას კარტოფილისა და ბოსტნეულის — მოსახლეობისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტებისა და გადამმუშავებელი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ბულგანინი

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა ცენტრალური კომიტეტის მუშაობას ცნობს დამაკმაყოფილებლად.

ყრილობა აღნიშნავს, რომ, ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიისა და მთავრობის დიდ ორგანიზაციულ და მატერიალურ დახმარებაზე დაყრდნობით ერთგვარ დადებითს შედეგებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

განვლილ პერიოდს ახასიათებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის ზრდა, შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების თანმიმდევრული დაცვა. პარტიულმა კომიტეტებმა რამდენადმე აამაღლეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, გაუმჯობესეს კადრების შერჩევა და აღზრდა, გააძლიერეს მათი პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელნი აღსავსე არიან ძალღონით და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები. აქტიურად უჭერს რა მხარს საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულ საგარეო პოლიტიკას ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა, მხურვალედ მოიწონა შედეგები ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოგზაურობისა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და მიმართულია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

საქართველოში უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. მეექვსე ხუთწლედის განხორციელება ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალისტური წყობილების ისტორიულ მონაპოვართა შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ხვდებიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის შეჯიბრების მძლავრად გაშლით.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობას მიაჩნია, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. მთლიანად რომ გამოვიყენოთ რესპუბლიკის მდიდარი რეზერვები და შესაძლებლობანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, საჭიროა ენერგიული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ადგილებზე. საჭიროა უზრუნველყოთ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის შემდგომი გაშლა, აღმოვფხვრათ იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობა, ფართოდ გამოვიყენოთ და მხარი დავუჭიროთ მასების აქტიურობასა და ინიციატივას პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მშენებლობა. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მრეწველობის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. რესპუბლიკის საწარმოებმა ძირითადად ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმის სახელმწიფო დავალება და მიაღწიეს სამრეწველო წარმოების დასახულ დონეს. ხუთწლედის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა 8 მილიარდი 560 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 14 მილიარდ 680 მილიონ მანეთამდე; 1954 წელს შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 19 პროცენტით; გადიდდა მარგანეცის, ქვანახშირის ამოღება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ლითონდამამუშავებელი ჩარხების წარმოება. საანგარიშო პერიოდში მწყობრში ჩადგა რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხანა, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი აგრეგატები და სიმძლავრეები, შაორის ჰიდროსადგური და სხვ.

კვების, მსუბუქი, საფეიქრო, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში განხორციელებულია მუშაობა პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად; გადიდებულია სასურსათო საქონლის, სახალხო მოხმარების საგნების, აგრეთვე საშენი მასალების წარმოება. განვლილ პერიოდში განმტკიცდა მრეწველობის ამ დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მაგრამ მიღწეული წარმატებები შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, პარტიული, საბჭოთა ორგანოები, სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები დროზე რომ ახდენდნენ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობებისა და კავშირგაბმულობის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას. ყრილობა აღნიშნავს, რომ ცალკეულ სამრეწველო საწარმოებს არ შეუსრულებიათ პროდუქციის გამოშვების 1955 წლის გეგმა. რესპუბლიკის მრეწველობა წინანდებურად გრძნობს ელექტროენერგიის ნაკლებობას, ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ შეტად დაბალია. ცუდად მუშაობენ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. არ შესრულებულა ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის, ცემენტისა და კრამიტის გამოშვების გეგმები. ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ახალი სიმძლავრეებისა და საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების, მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებების შესრულებას, უშვებს მატერიალური და ფინანსური რესურსების დაქსაქსვას ბევრ მშენებლობაზე. ნელა ინერგება ტიპური დაპროექტება, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია.

სარეწაო კოოპერაციის, საფეიქრო, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები კვლავ უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება მომხმარებელთა გემოვნებასა და მოთხოვნილებებს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მითითებას მრეწველობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის განხორციელების შესახებ. შრომის ცუდი ორგანიზაციისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მოუგვარებლობათა გამო ბევრ საწარმოში ადგილი აქვს მანქანების და მოწყობილობის მნიშვნელოვან მოცდენას, უნაყოფო ხარჯებს და ნედლეულის დანაკარგებს. ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენების საუკეთესო გამოცდილება არადამაკმაყოფილებლად ვრცელდება. ცუდად არის დაყენებული მუშაობა გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან. ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს სამართველო აპარატი კვლავ მოუქნელი და ძვირად ღირებულია.

ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების სამრეწველო განყოფილებათა მუშაობის დონე არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. ისინი გადატვირთული არიან წვრილმანი სამეურნეო საქმეებით, საკმაოდ არ უწევენ კონტროლს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაობას, ნაკლებად მუშაობენ მრეწველობის ეკონომიკის საკითხებზე, მოწინავე ტექნიკის მიღწევებისა და ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვაზე.

რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების სრულყოფისა და ზრდის მიზნით ყრილობა ავალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს:

1. უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ მრეწველობის ტექნიკური დონის გადაჭრით ამაღლება, წარმოების ეკონომიკის, სამეურნეო ანგარიშისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცება.

საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს სამრეწველო საწარმოთა მთელი მუშაობის ხარისხი, უზრუნველყოფილ იქნას გეგმების შესრულება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ აგრეთვე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით — შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დაწესებული ასორტიმენტის ზუსტი შესაბამისობით, დაგროვების ზრდა.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დაუცხრომელი ზრუნვა მრეწველობის არსებული უმდიდრესი რეზერვების გამოყენებისათვის, მოწყობილობის დატვირთვის მაქსიმალური გადიდებისათვის, საწარმოო წუნის ლიკვიდაციისათვის. საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას უყაირათობის და მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის ყოველგვარი გამოვლინება. ყველა სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოს უაღრესად შეუსუსტებელი ყურადღების საგანი უნდა იყოს საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების მუდმივი გაუმჯობესება.

2. მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მშენებლობის დასაჩქარებლად. 1956 წელს უზრუნველყოფილ იქნას გუმათჰეს — 2-ის სამი აგრეგატისა და გუმათჰეს — 1-ის ერთი აგრეგატის ამუშავება, დამთავრდეს ტყიბულისა და ბეჟუის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და რუსთავისა და ტყვარჩელის თბოსადგურების გაფართოების სამუშაოები. შემუშავებულ და განხორციელებულ იქნას ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი დარიალის ჰიდროელექტროსადგურის, რიონზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის, აგრეთვე გადაიჭრას ენგურის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საკითხი.

ყრილობა საქართველოს ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის ტრესტისა და ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს გადაჭრით გააძლიერონ ენერგომშენებლობის ტემპები, პირველ რიგში ხრამი — 2-ის, შაორის მეორე რიგის, გუმათი — 1-ის და ლაჯანურის ჰიდროსადგურების მშენებლობაზე.

3. ყრილობა ავალებს ქვანახშირის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, ტრესტების, შახტებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმებისა და ციკლურობის ნორმატივის შესრულება ლავების მახედვით, აითვისონ ექსპლოატაციაში მყოფი შახტების საპროექტო სიმძლავრეები და ამით მიაღწიონ ქვანახშირის ამოღების გადიდებას. მომდინარე წელს დაწყებულ და გაშლილ იქნას მშენებლობა ახალი შახტისა ტყვარჩელში, დაჩქარდეს შახტების ექსპლოატაციის დაწყება ახალციხეში.

კავკასიის ქვანახშირსაძიებო-გეოლოგიურმა ტრესტმა გააძლიეროს მუშაობა ქვანახშირის ახალი ველების ძიებისა და მომზადებისათვის.

4. დაევალოს რუსთავის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექციასა და პარტიულ ორგანიზაციას ბოლო მოუღონ საწარმოს ჩამორჩენას, გაუმჯობესონ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება და შრომის ორგანიზაცია, საფუძვლიანად შეისწავლონ და გაავრცელონ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიული ქარხნების მდიდარი გამოცდილება.

ყრილობა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისაგან მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესოს მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა, ღრმად შეისწავლოს კადრები, წარმოების ტექნიკა და ეკონომიკა, გააძლიეროს ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ადამიანებთან.

ყრილობა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მიიღონ ღონისძიებანი მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტების ამოქმედების დასაჩქარებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჭითურის მრგანეცის მაღაროებს, აღმოფხვრან სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ჩამორჩენა ქალაქებში რუსთავში, ჭითურასა და ზესტაფონში.

5. დაევალოს ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, საავტომობილო ქარხნის დირექციასა და პარტიულ ორგანიზაციას მიაღწიონ მოწყობილობისა და მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებას, გეგმების შესრულებას, დეტალებისა და კვანძების მთელი ნომენკლატურის მიხედვით, წარმოების ტექნოლოგიის განუწყვეტელ გაუმჯობესებას, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მთელი კომპლექსის უსწრაფესად დამთავრებისათვის.

6. გაუმჯობესდეს რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა; მაქსიმალურად იქნას გამოყენებული მოძრაკი შემადგენლობა, შემცირდეს ვაგონების მიმოქცევის დრო, შესრულდეს დატვირთვის გეგმები ყველა სახეობის ტვირთების მიხედვით, მიღწეულ იქნას გზატკეცილების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება; ჩატარდეს შემდგომი მუშაობა ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის ცენტრალიზაციისათვის.

ყრილობა ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს 1956 წელს დაამთავრონ ზესტაფონ-დარკვეთის ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა, დაჩქარონ დარკვეთ-სარხერის ხაზის გაყვანის სამუშაოები, აგრეთვე სამუშაოები ტყიბულის რკინიგზის შტოს გადასატანად ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის იმ უბნიდან, რომელიც წყლით დაიფარება.

კავშირგაბმულობის ორგანოები ვალდებული არიან აღმოფხვრან ნაკლოვანებები თავიანთ მუშაობაში, გაუმჯობესონ საფოსტო კავშირი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტელეფონიზაციასა და რადიოფიკაციას.

7. დაევალოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გაადიდონ საშენ მასალათა წარმოება, მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

8. სასურსათო საქონლის, საფეიქრო, მსუბუქი, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების, უწყებების პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს უზრუნველყონ კვების პროდუქტების და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდა, გაუმჯობესონ მათი ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი.

დაევალოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს ჩაის ტრესტს და ჩაის მრეწველობის ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს უზრუნველყონ ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარება, მიაღწიონ უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებას.

გაფართოებულ იქნას ღვინომასალებისა და ღვინოების წარმოება, გადიდდეს მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების, შამპანურის, კონიაკების გამოშვება, უზრუნველყოფილ იქნას მათი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. შეიქმნას მეღვინეობის საჭირო სანედლეულო და ტექნიკური ბაზა ახალი საბჭოთა მეურნეობების, ღვინის ქარხნების მშენებლობის, აგრეთვე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის გზით. გაფართოებულ იქნას საწარმოო-ტექნიკური ბაზა მეღვინეობის ნარჩენების გადასამუშავებლად. სერიოზული ყურადღება მიექცეს პურსაცხობი, საკონსერვო, ხორცის, ყველ-ერბო-კარაქის მრეწველობისა და კვების მრეწველობის სხვა დარგების შემდგომ განვითარებას; თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატები ფართოდ იქნან ჩაბმული კვების პროდუქტების წარმოებაში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე.

დაევალოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს აამაღლონ წარმოების ტექნიკური დონე და კულტურა, მიიღონ ღონისძიებანი საწარმოთა აღჭურვისათვის მაღალი წარმადობის თანამედროვე მოწყობილობით; 1958 წელს აამოქმედონ გორის ბამბეულის კომბინატის მორე რიგი; უზრუნველყონ ლამაზი და მტკიცე ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სატრიკოტაჟო ნაწარმის გამოშვება.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილოს საქართველოს თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაობის საკითხი და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის ჭერისა და გადამუშავების გეგმის შესრულებას, ამასთან სერიოზული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკის შიგნითა წყალსატევების გამოყენებას.

დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოს სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად განახორციელონ მუშაობა ახალ სახეობათა ნედლეულის გამოსაყენებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ მრეწველობის ნარჩენები ფართო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად.

9. გარდაიქმნას საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა, აღმოიფხვრას ზედმეტობა დაპროექტებასა და არქიტექტურულ გაფორმებაში, ფართოდ დაინერგოს სამრეწველო და საბინაო მშენებლობაში ტიპური პროექტები, სამამულო და საზღვარგარეთის მშენებლობის საუკეთესო მიღწევები, აღმოიფხვრას მატერიალური და ფინანსური რესურსების დაქსაქსვის პრაქტიკა.

სამშენებლო საქმის ფართო ინდუსტრიალიზაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დასამზადებელი ქარხნებისა და პოლიგონების შექმნა.

10. ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს აამაღლონ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დონე, მიაღწიონ კონკრეტულ შედეგებს საწარმოთა მუშაობაში. საჭიროა განმტკიცდეს ერთიანობა, გაძლიერდეს საწარმოებისა და უწყებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში დავალებათა შესრულებისათვის. მიღებულ იქნას ღონისძიებები სამმართველო აპარატის სტრუქტურის შემდგომი გამარტივებისა და შტატებში ზედმეტობის აღმოფხვრისათვის.

ამოცანა ის არის, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები განუხრელად ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, უზრუნველყონ მრეწველობის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარება, აამოქმედონ მთელი რეზერვები წარმოების ტემპების დასაჩქარებლად და მისი მოცულობის გასაიდიდებლად. აუცილებელია განოწყვეტლივ ვახორციელებდეთ ტექნიკურ პროგრესს მრეწველობაში, უფრო სრულად ვიყენებდეთ არსებულ მოწყობილობასა და საწარმოო მოედნებს, მტკიცედ ვნერგავდეთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს და ამ საფუძველზე ვაღწევდეთ სახელმწიფო გეგმების უეჭველად შესრულებას და შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

სოფლის მეურნეობა. საანგარიშო პერიოდში გაწეულია ერთგვარი მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, და ამან უკვე მოგვცა პირველი დადებითი შედეგები. გადიდდა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლის, აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. 1955 წელს წინა წელთან შედარებით დამზადებულ იქნა: ხორცი — 11,4 პროცენტით, რძე — 34,3, მატყლი — 33,6, ჩაი — 9,4, ყურძენი — 4.2 პროცენტით მეტი.

გაწეულია მუშაობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის. კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შედეგად გაიზარდა მათი ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. მიღებულია ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზის თავმონებებულობის ლიკვიდაციისათვის.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში არიან კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი, რომლებმაც არადამაკმაყოფილებლად დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო წელი. ბევრი კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა ცუდად უვლის ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, მარცვლეულ, ტექნიკურ და სხვა კულტურებს, იღებს დაბალ მოსავალს. მეცხოველეობა ჯერ კიდევ არ გამხდარა სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან და მაღალსაქონლიან დარგად. რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმაო ყურადღება არ ექცევა საკვების წარმოებას, ნელა წარმოებს მეცხოველეობის შენობათა მშენებლობა.

ზოგიერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ვერ უზრუნველყოფს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობას, არადამაკმაყოფილებლად იყენებს მანქანა-ტრაქტორთა პარკს. სუსტად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, დაბალია ჩაის, ვენახის, ხეხილის ბაღების, ტექნიკური კულტურების დამუშავების პროცესების მექანიზაციის დონე. ბევრი მტს-ი არასაკმაოდ ზრუნავს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, უშვებს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დიდ გადახარჯვას.

რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა, არის სერიოზული ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციაში, აღრიცხვასა და ანაზღაურებაში. ჯერ კიდევ გვხვდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა. სამეცნიერო ინსტიტუტები და საცდელი სადგურები არასაკმაოდ მუშაობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის შემდგომი ამაღლების პრაქტიკულ საკითხებზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ დაბალია დონე ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების უზრუნველყოფის საქმეში. მოწინავე რაიონებშიც კი, რომლებმაც საერთოდ არც თუ ცუდ მაჩვენებლებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში, არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც განვლილი სამეურნეო წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებს დღემდე არ აუღიათ ხელი ხელმძღვანელობის კანცელარიულ მეთოდებზე. ბევრი ისეთი საკითხის გადაჭრა, რომლებიც ოპერატიულობას მოითხოვენ, ჭიანურდება, დირექტივების შესრულება განმტკიცებული არ არის სათანადო ორგანიზატორული მუშაობით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის მიზნით ყრილობას საჭიროდ მიაჩნია:

1. დაევალოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ ყველა ღონისძიება იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ სოფლის მეურნეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, უზრუნველყონ ყველა კულტურის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელი გადიდება, საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდა.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის იმ ანგარიშით, რომ მოწინავეთა დონემდე წამოსწიონ ყველა ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. აუცილებელია მივაღწიოთ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, უმკაცრესი წესრიგი დავამყაროთ სახსრების ხარჯვაში, გადაჭრით აღმოვფხვრათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყოველი მცირეოდენი დარღვევა.

ჩატარდეს მუშაობა ახლადდასახლებულ კოლმეურნეობათა დაბების კეთილმოსაწყობად: უზრუნველყოფილ იქნან ისინი სასმელი და სარწყავი წყლით, დამთავრდეს საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობების, გზებისა და სხვ. მშენებლობა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნას გადასახლება-დასახლების სამუშაოებისათვის 1956 წელს გამოყოფილი სახსრები.

2. ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ 1960 წლისათვის მარცვლეულის წარმოების გადიდება 62 მილიონ ფუთამდე. ფართოდ დაინერგოს მარცვლეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად, ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, სიმინდის თესვა წარმოებდეს ჰიბრიდული თესლით, გაფართოვდეს სიმინდის თესვა ნაწვერალზე, დაინერგოს მაღალმოსავლიანი ჯიშები, გაუმჯობესდეს მარცვლეული კულტურების მეთესლეობა.

1960 წელს თამბაქოს წარმოება აყვანილ იქნას 21 ათას ტონამდე; გაუმჯობესდეს თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების დამუშავების აგროტექნიკა და მიღწეულ იქნას მათი მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება.

3. ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივ მრეწველობის სამინისტროს, სარეწაო საბჭოს, ადგილობრივ ორგანოებს, ეკონომიკურ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ინტელიგენციას, ფართოდ ავამაღლოთ ბოლშევიკური ბრძოლისუნარიანობა, ბოლშევიკურად ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა, ავაშენოთ ბედნიერი, ბრწყინვალე კომუნისტური საზოგადოება.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობისა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენებიდან

(გაგრძელება)

გაუმჯობესდეს ჩაის პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღების, ციტრუსოვანთა ნარგავების, თუთის, კეთილშობილი დაფნის, ტუნგოს, ბამბუკის და სხვა სამერქნე-ტექნიკური კულტურების მდგომარეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა პლანტაციების მოვლას, გაძლიერდეს ბრძოლა მრავალწლიანი ნარგავების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ და მიღწეულ იქნას ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდება. ფართოდ გაჩაღდეს ტრიფოლიატისა და ბროწეულის ცოცხალი ღობეების გაშენება იმ რაიონებში, სადაც ეს კულტურები კარგად ხარობს.

4. ყრილობა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის გადიდება. უზრუნველყონ, რომ 1960 წელს მიღებულ იქნას საერთო პროდუქცია: ხორცისა — 145 ათასი ტონა, რძისა — 771 ათასი ტონა, მატყლისა — 4.500 ტონა, კვერცხისა — 675 მილიონი ცალი.

გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი პირუტყვის შენახვა და კვება, ჯოგის ჯიშობრივი და სტრუქტურული შემადგენლობა, ლიკვიდირებულ იქნას დედა-პირუტყვის ბერწიანობა და თურქულისა და ბრუცელოზის კერები.

ფართოდ დაინერგოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაძღოლის პროგრესული წესები — ბაგური და ბაგურ-ბანაკური შენახვა; თვითეულ კოლმეურნეობაში გამოიყოს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად და სახორცედ დასაკლავად განკუთვნილი პირუტყვის სპეციალური ჯოგები, ხოლო იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც განვითარებული მეცხოველეობა აქვთ, შეიქმნას პირუტყვის გამოსაკვები და გასასუქებელი ფერმები.

მიღებულ იქნას ზომები საზოგადოებრივი მეცხვარეობის, განსაკუთრებით ნაზმატყლიანი და ნახევრად ნაზმატყლიანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში მეღორეობისა და შეფრინველეობის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება.

მიღებულ იქნას ზომები საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი გაფართოებისათვის; უზრუნველყოფილ იქნას თვითეულ ძროხაზე სულ მცირე 7-8 ტონა სილოსის ჩადება, გაფართოვდეს გოგრის, საზამთროს, იონჯის, სამყურას, სუდანურას და სხვა საკვები კულტურების ნათესები, გადიდდეს მათი მოსავლიანობა. გადიდდეს უხეში საკვების, განსაკუთრებით თივის წარმოება, მიღწეულ იქნას საძოვრების სწორად გამოყენება, დაინერგოს ძოვების ნაკვეთმორიგეობითი სისტემა, ფართოდ იქნას გამოყენებული მწვანე კონვეიერი მერძეული პირუტყვის გამოსაკვებად და დამატებითი კვებისათვის.

გაფართოვდეს მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობა საესებით უზრუნველყოფილ იქნას კულტურული სადგომებით, გაჩაღდეს ყველა საძოვარზე არტეზიული და შახტური ჭების მშენებლობა; დაჩქარდეს ქინგალ-ახალხევის გზის მშენებლობის დამთავრება, დაიკრას მთა-თუშეთის გზის მშენებლობის საკითხი, კვთილმოწყობილ იქნას პირუტყვის გადასარეკი ტრასები.

გაფართოვდეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში; გაუმჯობესდეს მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურება.

5. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით მრავალწლიანი ნარგავების და ტექნიკური კულტურების დამუშავების პროცესების მექანიზაციის დონე; დაჩქარდეს სრულფასოვანი ჩაისსაკრეფი მანქანის შექმნა. უზრუნველყოფილ იქნას სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია მემინდვრეობაში, მოეწყოს 1956 წელს სულ მცირე 150-150 ახალი მექანიზებული კალო; გაუმჯობესდეს მტს-ების მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება, სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურება, უზრუნველყოფილ იქნას ახალი სარემონტო სახელოსნოების, ნავთობის ბაზებისა და მტს-ების სხვა საწარმოო შენობებისა და ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

გაუმჯობესდეს მტს-ების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. აღმოიფხვრას ფულადი საწსრებისა და მატერიალური ფასეულობათა უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები, მიღწეულ იქნას სატრაქტორო სამუშაოთა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

6. ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. აუცილებელია თვითეული საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური და მაღალშემოსავლიანი მეურნეობა გახდეს, აღმოიფხვრას უყაირათობა, განხორციელდეს მკაცრი მომჭირნეობა სახსრების ხარჯვაში, შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, საბჭოთა მეურნეობები გადაქცეულ იქნას სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად.

7. ყრილობა ავალებს წყალთა მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა წყალთა მეურნეობის მშენებლობისა და წყლით სარგებლობისადმი, ყველა ამოშრობილი და სარწყავი მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისება, განსაკუთრებით კოლხიდის დაბლობში; უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობა წყალსამეურნეო სამუშაოებში.

უახლოეს წლებში განხორციელდეს ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა. 1958 წელს დამთავრდეს სიონის წყალსაცავის პირველი რიგის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა და 1959 წელს დაწყებულ იქნას სიონის წყალსაცავის მორე რიგის და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

8. ყრილობა ავალებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს განაგრძონ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ელექტროფიკაციის დარგში; განახორციელონ ახალი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაამყარონ წესრიგი არსებული საკოლმეურნეო და სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ ექსპლოატაციაში.

გაუმჯობესდეს კაპიტალური მშენებლობა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში, აღმოიფხვრას შეცდომები და ხელმეტობა ამ საქმეში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში ტიპური პროექტების დანერგვას, მიღწეულ იქნას სასოფლო ობიექტების მშენებლობის გაიაფება.

გაფართოვდეს სამრეწველო საწარმოთა საშეფო დახმარება კოლმეურნეობებისადმი, განსაკუთრებით მეცხოველეობის სადგომებისა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში, აგრეთვე მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში.

9. ყრილობა ავალებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სატყეო მრეწველობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაამყარონ წესრიგი ტყეების ექსპლოატაციაში, გაუმჯობესონ სატყეო ზოლებისა და ნარგავების მოვლა; გაფართოვდეს მაგისტრალური გზების გამწვანების სამუშაოები.

10. გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისადმი, განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა ამ საქმეში, უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმების უეჭველად შესრულება თვითეული საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და ინდივიდუალური ჩამბარებლის მიერ.

1960 წელს უზრუნველყოფილ იქნას დამზადება და შესყიდვა: 165 ათასი ტონა ჩაისა, 21 ათასი ტონა თამბაქოსი, 90 ათასი ტონა მარცვლისა, 66 ათასი ტონა ხორცისა, 154,5 ათასი ტონა რძისა, 3.860 ტონა მატყლისა, 76,5 მილიონი ცალი კვერცხისა, სულ მცირე 20 ათასი ტონა კარტოფილისა, 50 ათასი ტონა ბოსტნეულისა, 5 ათასი ტონა აბრეშუმის პარკისა.

11. ყრილობა ავალებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ფართოდ განაზოგადონ და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, გააუმჯობესონ აგრო-ზოოტექნიკური კურსების მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ყრილობა მოითხოვს დაახლოებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პრაქტიკულ საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან.

12. ყრილობა ავალებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ზომები საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მომზადების დროზე დასამთავრებლად, პირუტყვის გამოზამთრების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის, აგრეთვე კოლმეურნეობების ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის სანიმუშოდ დასამთავრებლად.

უმოკლეს ვადაში დამთავრდეს ადგილობრივი და მინერალური სასუქების გატანა. გაჩაღდეს სამუშაოები საგაზაფხულო კულტურების სათესი ფართობების საადრეო და საგაზაფხულო მოხვნისათვის.

კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავლის მოსაყვანად მიმდინარე წელს მიღებულ იქნას ზომები თვითეული კოლმეურნეობის კონდიციური თესლით უზრუნველყოფისათვის, ხოლო მისი ნაკლებობის შემთხვევაში მოეწყოს თესლის გაცვლა კოლმეურნეობათა შორის. საადრეო ბოსტნეულის მოყვანის მიზნით მოეწყოს ტორფნეშომპალის ქოთნების წარმოება საჭირო რაოდენობით.

13. ყრილობა მოითხოვს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსაგან, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან აამაღლონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, განადონ ეს ხელმძღვანელობა ნამდვილად კონკრეტული, კვალიფიციური, ოპერატიული. ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები მოვალენი არიან დეტალურად იცნობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, უნარიანად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობებს, სწავლობდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკასა და ეკონომიკას.

დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მთიანი რაიონების კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისა და აღმავლობისათვის.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. საანგარიშო პერიოდში მცირე მუშაობა როდია გაწეული მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კაპიტალურმა დაბანდებამ რესპუბლიკის კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 123 მილიონამდე მანეთი შეადგინა. ათეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯა კომუნალური საწარმოების, საბინაო ფონდისა და საქალაქო კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალურ რემონტზე. 1954 წელს საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1953 წელთან შედარებით გადიდდა 18,4 პროცენტით. გასულ წელს მოსახლეობას მიეყიდა 228 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1954 წელს. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 1955 წელს 1954 წელთან შედარებით გაიზარდა 31 მილიონი მანეთით.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს საბინაო მშენებლობა. 1955 წლის 11 თვის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია წლიური გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის მხოლოდ 52 პროცენტი. მეტისმეტად დაბალია საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

სერიოზული ნაკლოვანებებია ვაჭრობის ორგანიზაციაში. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ვერ მიაღწიეს ვაჭრობის კულტურის მკვეთრ აღმავლობას, ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა სახელმწიფო სახსრებისა და კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ, აღმოფხვრილი არ არის სპეკულაციის, მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები და სხვა ბოროტმოქმედებანი ვაჭრობაში.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. 49 სასოფლო ამბულატორია და საავადმყოფო დაკომპლექტებული არ არის სამედიცინო კადრებით. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ნელა ახდენს თავისი მუშაობის გარდაქმნას, ურიგდება სერიოზულ ნაკლოვანებებს სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობაში.

სერიოზული ჩამორჩენაა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში, განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებაში.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებში ჯერ კიდევ ხშირია საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ვადების უხეში დარღვევის, არაობიექტური განაჩენების გამოტანის შემთხვევები, დროზე არ იღებენ ზომებს სისხლის სამართლის დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის მიზნით ყრილობას საჭიროდ მიაჩნია:

1. დაევალოს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს გადაჭრით გაუმჯობესონ საბინაო მშენებლობა და კომუნალური მეურნეობა. მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება მალე გადაიყვანონ საბინაო მშენებლობა ინდუსტრიულ მეთოდებზე, გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია მშენებლობებზე და გაიაიფონ მშენებლობა.

გააძლიერონ მომსახურებელობა საბინაო-კომუნალური მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, გადაჭრით აღმოფხვრან უსულგულო დამოკიდებულება ხმრომელთა საჭიროებებისადმი. ყოველდღიურად გაუწონონ კონტროლი თუ როგორ ასრულებენ დავალებებს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები და საბინაო სამმართველოები.

ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ ბინების მშენებლობასა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მიიღონ ზომები თბილისის გაზიფიკაციის სამუშაოთა დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად.

2. უზრუნველყოფილ იქნას საქონელბრუნვის შემდგომი განხორცილი ზრდა, გაუმჯობესდეს ვაჭრობის ორგანიზაცია, ამაღლდეს მყიდველთა მომსახურების კულტურა, აღმოიფხვრას საქონლის დაგეგმვასა და განაწილებაში არსებული ნაკლოვანებანი; საჭიროა გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა სამრეწველო ცენტრებში, უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები საშენი მასალებითა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლით, ყოველი ღონისძიებით გამოვლინდეს და საქონელბრუნვაში შეტანილ იქნას ახალი ნაკეთობანი ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი სავაჭრო მუშაკების შერჩევაში, აღზრდილ იქნან ისინი ყოველგვარი დარღვევისა და ბოროტმოქმედებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

3. გადაჭრით გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში. ამაღლდეს სამკერვალო დაწესებულებათა მუშაობის კულტურა. 1956 წლის დამლევამდე დაკომპლექტდეს სოფლის სამკურნალო დაწესებულებები მედიცინის მუშაკთა კადრებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათთვის შესაფერი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. უზრუნველყოფილ იქნას კურორტების შემდგომი განვითარება და კეთილმოწყობა. მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად.

4. წინადადება მიეცეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად გააძლიეროს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა, მათი საქმიანობა წარმართოს ისე, რომ შემდგომ განვითარდეს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივობა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობაში. უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ სპარტაკიადის მაღალი დონით მოწყობა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში საქართველოს ფიზკულტურელთა დელეგაციის აქტიური მონაწილეობა. მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა მშენებლობის გაფართოებისათვის.

5. დაევალოს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, საფინანსო და საბანკო დაწესებულებებს უზრუნველყონ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება. განუწყვეტლივ გაუმჯობესონ მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები და გააძლიერონ კონტროლი სახელმწიფო სახსრების გამოყენებისადმი.

6. ამაღლდეს სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის დონე და კულტურა. ყოველი ღონისძიებით გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დაცვისათვის. გაგრძელდეს მუშაობა ამ ორგანოების განმტკიცებისათვის შემოწმებული, კვალიფიციური კადრებით.

იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს იდეოლოგიური მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს; რესპუბლიკაში პროპაგანდისტული, მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა ჯერ კიდევ წარმოებს ცხოვრებისაგან მოწყვეტით, ნაკლებად უწყობს ხელს სამრეწველო და საოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის ჩვენი პრაქტიკული მუშაობის აღმავლობას.

პარტიულ პროპაგანდაში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების ეკონომიურ განათლებას, იგი ჯერ კიდევ სუსტად რაზმავს მშრომელებს სიძნელეთა და ნაკლოვანებათა დასაძლევად. დღემდე აღმოფხვრილი არ არის პოლიტიკური აგიტაციის ჩამორჩენა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლები არასაკმაოდ აჩაღებენ კვლევითს მუშაობას მეცნიერებისა და ტექნიკის ზოგიერთ დარგში.

რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა წარმოებაში მეცნიერული კვლევის დანერგვისა და თანამედროვე აპარატურით სამეცნიერო დაწესებულებათა მოწყობის მხრივ. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემების დამუშავებას, არ არის ზუსტი კოორდინაცია და დაგეგმა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობაში. სერიოზულ შეცდომებს უშვებენ სპეციალისტებისა და მეცნიერი მუშაკების მომზადების დაგეგმვაში.

ნელა ხდება რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა. ცოტაა შექმნილი ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებები საბჭოთა სინამდვილის თემებზე. სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში საკმაოდ არ არის განვითარებული პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

რესპუბლიკაში სუსტად ხორციელდება მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლება. ნაკლოვანებებია საყოველთაო სწავლების განხორციელებაში. ბევრ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა წარმატება და დისციპლინა. აღმოფხვრილი არ არის სერიოზული ნაკლოვანებანი რუსული და მშობლიური ენების, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის სწავლებაში.

ყრილობას პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, პარტიული ორგანიზაციების იდეური ცხოვრების ახალი აღმავლობის უზრუნველყოფა.

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა უნდა იყოს მებრძოლი, საგნობრივი და შემტევი, მჭიდროდ დაკავშირებული ცხოვრებასთან, მოცემული მომენტის კონკრეტულ ამოცანებთან. იგი მოწოდებულია განაზოგადოს და გაავრცელოს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე ნიმუშები, დღითიდღე ჩაუნერგოს საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი, განავითაროს საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა, შეურიგებლად იბრძოლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ, ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ.

ყრილობა ავალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

1. ღრმად ჩასწვდნენ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის, მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შინაარსს და განუხრელად ამაღლონ მისი იდეური დონე; სისტემატურად და კონკრეტულად იმუშაონ კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხებზე, გააძლიერონ კონტროლი მათი პოლიტიკური სწავლებისადმი; გადაჭრით გაუმჯობესონ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის პროპაგანდა, კონკრეტული ეკონომიკის შესწავლა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესწავლა.

2. აამაღლონ პრესის როლი მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. უზრუნველყონ გაზეთების მიერ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხების სისტემატური და კვალიფიციური გაშუქება. პარტიული, საბჭოთა ორგანოები, სამინისტროებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დროზე ეხმაურებოდნენ გაზეთების კრიტიკულ გამოსვლებს, პასუხისგებაში აძლევდნენ იმ პირებს, რომლებიც ხელს უშლიან კრიტიკის გაშლას პრესაში.

3. აამაღლონ რესპუბლიკაში მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის დონე, დარაზმონ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუსახა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ძირითად ამოცანად ჩაითვალოს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი მეცნიერული კადრებისა და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების დაგეგმვაში. გაუმჯობესდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში და სტუდენტი ახალგაზრდობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

ამაღლდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მეცნიერული მუშაობის დონე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართოს სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადასაჭრელად. გაუმჯობესდეს მეცნიერული მუშაობის კოორდინაცია. მიღებულ იქნას ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მატერიალურ-ექსპერიმენტალური ბაზის განსამტკიცებლად.

ამაღლდეს შემოქმედებითი კავშირების მაორგანიზებელი როლი თანამედროვეობის თემებზე ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალმხატვრულ და მაღალიდეურ ნაწარმოებთა შექმნაში. გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მეცნიერ და შემოქმედებითს მუშაკებში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათი მარქსისტულ-ლენინური მომზადების გაუმჯობესებას. უზრუნველყოფილ იქნას პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება შემოქმედებითს მუშაკებსა და მეცნიერებს შორის.

4. დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს, განათლების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს:

განუხრელად განახორციელონ კანონი საყოველთაო სწავლების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა აღჭურვას ღრმა და მტკიცე ცოდნით და მათთვის თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლების გაცნობას. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისა და საშუალო სპეციალური ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისათვის.

სასკოლო პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა წარმართონ იქითკენ, რომ ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს მოსწავლეთა აღზრდაში მაღალი, შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით. მიღებულ იქნას ღონისძიებანი რუსული და მშობლიური ენების, ფიზიკის, მათემატიკისა და ქიმიის სწავლების გაუმჯობესებისათვის. უზრუნველყონ ახალი სკოლების მშენებლობის გეგმების უთუო შესრულება, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში რამდენადმე გააძლიერეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. პარტიული ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობების შემდგომი განვითარების ამოცანების შესრულებისაკენ, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

განვლილ პერიოდს ახასიათებს შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების შემდგომი თანმიმდევრული განხორციელება. განმტკიცდა პარტიული

(დასასრული მე-4 გვერდზე)

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობისა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

კომიტეტების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, ავტორიტეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობა და ავანგარდული როლი. რეგულარულად იმართება პარტიული კრებები, აქტივის კრებები და პლენუმები, რამაც ხელი შეუწყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. პარტიულმა კომიტეტებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში; გაბედულად ხდება ახალი, ახალგაზრდა კადრების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნელა ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არ სწავლობს ადგილებზე საქმის ნამდვილ ვითარებას და არ ახდენს საჭირო ზეგავლენას საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე. პარტიის ბევრმა სასოფლო რაიკომმა შეამცირა ინსტრუქტორთა ზონალური ჯგუფების, როგორც მტს-ებში და კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზატორების როლი და მნიშვნელობა, არადამაკმაყოფილებლად იყენებს ამ დიდმნიშვნელოვან რგოლს საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობაში.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ცუდად არის დაყენებული შესრულების შემოწმება, სუსტად აჩაღებენ და უჭერენ მხარს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკას.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებები პარტიაში მიღების საქმეში. სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატებთან.

ყრილობა ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

აიყვანონ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების დონემდე, ძირითადი ყურადღება მიაქციონ ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას უშუალოდ იქ, სადაც იქმნება მატერიალური ფასეულობანი და წყდება სახალხო-სამეურნეო გეგმების ბედი. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მიღწეულ იქნას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, როცა ადგილებზე მიდიან და არკვევენ ჩამორჩენას ამა თუ იმ უბანზე, არ სჯერდებოდნენ ნაკლოვანებათა აღნიშვნას, არამედ პრაქტიკულად აწყობდნენ მუშაობას ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

ყრილობა მოითხოვს პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საოლქო კომიტეტებისა და ყველა სასოფლო რაიკომისაგან აამაღლონ მტს-ების ზონების მიხედვით რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობის დონე, მათი როლი და პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში საქმის მდგომარეობისათვის, სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებისათვის.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, განავითარონ მათი ინიციატივა და თვითმოქმედება. მიაღწიონ საბჭოთა დაწესებულებების და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი შესრულების შემოწმების გასაძლიერებლად, ამასთან მხედველობაში იქონიონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის კომუნისტების, ყველა მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერება.

სისტემატურად გაუმჯობესონ კადრებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, მუდმივად უწევდნენ მათ მუშაობას კონტროლს ზემოდან და განსაკუთრებით ქვემოდან — პარტიული და უპარტიო მასების მხრივ. უზრუნველყონ ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების უფრო გაბედულად დაწინაურება. აღზარდონ ხელმძღვანელი კადრები მტკიცე და ინიციატივიან მუშაკებად, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით; ასწავლონ კადრებს, რომ კრიტიკის დახმარებით შეეძლოთ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და შეცდომები მუშაობაში.

ყრილობა რესპუბლიკის ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა, შექმნან ისეთი ვითარება, რომ ადამიანები აშკარად აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს, არ ეშინოდეთ კრიტიკისათვის დევნისა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანო მოვალენი არიან დროზე ეხმაურებოდნენ მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს, იღებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს გამოვლენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, აამაღლონ კომკავშირის როლი და აქტივობა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში, კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მუშა, კოლმეურნე და მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური და საწარმოო აღზრდისათვის.

აამაღლონ პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივობა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში, მათი როლი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში. პროფსაბჭო, რესპუბლიკური კომიტეტები და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად მუშაობდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცების, მუშათა მასობრივი გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის განვითარების, მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და ხელფასის ნორმირების საკითხებზე, გააძლიერონ კონტროლი საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომუნისტების, ყველა მშრომელის აღზრდას მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა პარტიული და საბჭოთა აპარატის ყველა რგოლში პოლიტიკური სიფხიზლის ასამაღლებლად.

* * *

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობა მოუწოდებს რესპუბლიკის კომუნისტებს, კომკავშირელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ მიაღწიონ სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ხვდება როგორც მონოლითური, გამობრძმედილი რაზმი საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიისა. საქართველოს კომუნისტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, გამსჭვალული არიან ურყევი გადაწყვეტილებით მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის უკვდავი იდეებისათვის ბრძოლას.

ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მიღწეულ იქნას ახალი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ბ. ნ. ლეონიძის სიტყვა

(ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საარჩევნო ოლქი)

საბჭოთა ლიტერატურა — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურა — პარტიას, მშრომელებს ეხმარება კომუნიზმის მშენებლობაში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ. ქართული ლიტერატურის წამყვანი ჟანრია პოეზია. ჩვენ გვყვანან ნიჭიერი პოეტები, მაგრამ ისინიც ჯერ კიდევ ცოტას ქმნიან მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. ეს სამართლიანად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. ჩვენი პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია ის, რომ ისინი ჩამორჩებიან ცხოვრებას. ჩვენი მწერლების ამოცანაა ღრმად შეისწავლონ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ცხოვრება. ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების შემოქმედებითი ზრდის მიზნით საჭიროა განახლდეს ახალგაზრდული ჟურნალის „ახალი თაობის“ გამოცემა.

ნელა მიმდინარეობს ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების აკადემიური გამოცემა. მაგალითად, ა. წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემა ჯერ კიდევ 1952 წელს დაიწყო. მაგრამ 15 ტომიდან გამოცემულია მხოლოდ 4.

საჭიროა მოწესრიგდეს ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნის საქმე, გაუმჯობესდეს პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაობა, თბილისში დაიდგას გამოჩენილი ქართველი მწერლების ძეგლები, მოეწყოს მემორიალური მუზეუმები.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრილია ქართული მწერლობის შესანშნავი ძეგლები. მაგრამ მუზეუმს არა აქვს მათი შესანახავი სათანადო შენობა.

საზღვარგარეთ — პალესტინაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში — ბევრია ძველი ქართული ხელნაწერები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ამ ხელნაწერთა პირების გადაღება და მათი შესწავლის დაწყება.

ქართველი მწერლები მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ ოსტატობას მოახმარენ იმას, რომ კიდევ უფრო ღრმად და მკაფიოდ ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში თანადროულობა, საბჭოთა ადამიანების მრავალმხრივი ცხოვრება.

დეპუტატ ა. ა. გიგოშვილის სიტყვა

(ყვარლის რაიონის ახალსოფლის საარჩევნო ოლქი)

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდესი მზრუნველობით ეკიდებიან ომში დაღუპული მეომრების ოჯახებს, სამამულო ომის ინვალიდებს, მოხუცებულებს, შრომის უნარდაკარგულებს. მეხუთე ხუთწლედში მარტო სოციალური დაზღვევის ორგანოებმა პენსიებისა და დახმარების სახით რესპუბლიკაში გასცეს 1,5 მილიარდ მანეთზე მეტი.

მეექვსე ხუთწლედში სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხები კიდევ უფრო დიდდება.

უკანასკნელ ხანს, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა პრაქტიკულ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სამინისტრო საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად არ ეხმარება ამ ორგანოებს. საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობაში, ბოლო მოეღოს პენსიონერთა კანონიერი მოთხოვნებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების, მშრომელთა განცხადებების დაგვიანებით განხილვის ფაქტებს და სხვ.

შემდეგ ამხ. გიგოშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ კახეთის რაიონებში ელექტროენერგიის რესურსები არასწორად არის განაწილებული და ამით გამოწვეულია ელექტროენერგიის ნაკლებობა ყვარლის რაიონში. იგი აყენებს საკითხს მდინარე დურუჯის ნაპირების შემდგომი გამაგრების შესახებ, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში წელს ინვალიდთა სახლის მშენებლობისათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ.

დეპუტატ ა. მ. დავითაშვილის სიტყვა

(გურჯაანის რაიონის შაშიანის საარჩევნო ოლქი)

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა ახალი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გადაჭარბებით შესრულებულია მარცვლეულის, მზესუმზირის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ვენახების მოსავლიანობამ საშუალოდ ერთ ჰექტარზე რაიონში 1955 წელს 62 ცენტნერი შეადგინა. ამჟამად გაჩაღებულია ვენახების მოვლის სამუშაოები. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ ვენახების მოსავლიანობა.

სერიოზული მუშაობა წარმოებს მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სიმინდის მოსავლის გასადიდებლად. 1953 წელს რაიონში ერთ ძროხაზე საშუალოდ მიღებული იყო 371 კილოგრამი რძე, 1954 წელს — 543, 1955 წელს — 970 კილოგრამი, ხოლო 1955 წლის II ოქტომბრიდან 1956 წლის II იანვრამდე მიღებულია 193 კილოგრამი ნაცვლად 97 კილოგრამისა, რაც მიღებული იყო წინა წლის იმავე პერიოდში. სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ 1955 წელს 23,4 ცენტნერი შეადგინა. ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მოსავალიც დიდი იყო მიღებული.

შეეხო რა აგრეთვე სამრეწველო საწარმოების მუშაობას, რაიონული ბიუჯეტის შესრულებას და რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის მუშაობას, დეპუტატმა დავითაშვილმა სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას გაითვალისწინოს დამატებითი ასიგნობანი რაიონის გადაუდებელ საჭიროებათათვის, კერძოდ, გურჯაანში წყალსადენის გაფართოებისათვის, რაიონის ცენტრში კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობისათვის და სოფელ ველისციხეში სკოლის მშენებლობის დამთავრებისათვის.

ნორვეგიის ხელისუფალთა მიერ საბჭოთა თევზსაჭერი გემების დაკავების გამო

როგორც ცნობილი გახდა, ა. წ. 30 და 31 იანვრის (ანკერლაბში) ნორვეგიის ზღვაში ნორვეგიელ მგუშაგ-გემებმა დაადგეს ექვსი ცალი ბაზა „ტამბოვი“ და რამდენიმე თევზსაჭერი ტრაულერი, რომლებიც ქაშაყს იჭერდნენ. დაკავება მოხდა იმ საბაბით, რომ ეს გემები იყენებენ ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებში.

როგორც სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროში განაცხადეს, ნორვეგიის ზღვაში მომუშავე თევზსაჭერი გემების კაპიტნებს მიცემული აქვთ მტკიცე მითითება არ დაარღვიონ ნორვეგიის ტერიტორიული წყლებისა და ნორვეგიის თევზჭერის ზონის საზღვრები. საბჭოთა თევზსაჭერი გემები აღჭურვილი არიან შესაბამისი ხელსაწყოებით ზუსტი ადგილსამყოფელის გამოსარკვევად და, როგორც დაკავებული გემების კაპიტნებმა განაცხადეს, დაკავების მომენტში მათი გემები ნორვეგიის ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ იყვნენ.

საზღვაო თევზჭერის პრაქტიკაში არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც გემებმა ადგილსამყოფელის ზუსტად გამორკვევა მეტეოროლოგიური პირობების გავლენის შედეგად ძნელდება და ამის გამო იქმნება შეუთანხმებლობა გემის ნამდვილ ადგილსამყოფელის განსაზღვრაში.

ნორვეგიის სასაზღვრო ხელისუფალთა მიერ მცურავი ბაზის „ტამბოვისა“ და თევზსაჭერ ტრაულერთა ჯგუფის დაკავების ფაქტი სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს მიაჩნია გაუგებრობად და იმედი აქვს, რომ ნორვეგიის ხელისუფალნი სწრაფად განიხილავენ ამ საკითხს და გაათავისუფლებენ დაკავებულ გემებს. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის წევრთა ჯგუფი

2 თებერვალს თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის წევრთა ჯგუფი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატები გაცილეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ზ. ი. კუბეკამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. გ. ჭერქეზიმ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ა. ვ. ჭირაქაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ნ. ინაურმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ა. კვეხელაძემ, მინისტრებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ჟურნალისტებმა.

აეროდრომზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა და ბულგარეთის პარლამენტის დელეგაციის წევრმა, სოფიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. პოპოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

— ვცოვებთ რა საბჭოთა საქართველოს, — თქვა დ. პოპოვმა, — გულითად მადლობას გადმოვთქვამთ ჯერთბილი და მეგობრული მიღებისათვის. ჩვენ ვუამბობთ ბულგარელ ხალხს, თუ რა გულთბილად და სიყვარულით გვეგებებოდნენ ყველგან. ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. ვუსურვებთ ქართველ ხალხს ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. (საკდესი).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

წარმოდგენები თებერვლისთვის 12-მდე

პარასკევს, 3 თებერვალს
გლახის ნაამბობი

შაბათს, 4 თებერვალს
პირველად ამ სეზონში
ხევისბერი გოჩა

კვირას, 5 თებერვალს
დღისით და საღამოს
ხევისბერი გოჩა

სამშაბათს, 7 თებერვალს
გლახის ნაამბობი

ოთხშაბათს, 8 თებერვალს
კ ი კ ვ ი ძ ე
26 კომისრის რაიონის ახალგაზრდობის მეორე ფესტივალის მონაწილეთათვის

ხუთშაბათს, 9 თებერვალს
პირველი ნაბიჯი
მონაწილეობს ახალი შემსრულებელი — ბახვა — ბუხუტი ზაქარაიძე (რესპ. დამსახ. არტისტი)

პარასკევს, 10 თებერვალს
ო ტ ე ლ ო
მონაწილეობენ ახალი შემსრულებლები — დეზდემონა — ნ. მგალობლიშვილი, ემილია — ნ. ფალიაშვილი

შაბათს, 11 თებერვალს
საკატარძლო აფიშით

კვირას, 12 თებერვალს
დღისით
მცხეთის რაიონის კომკავშირის აქტივისათვის
ხალისიანი მეგობრები
საღამოს
პ ე პ ო
მე-100 წარმოდგენა

მზადდება სოფოკლეს ტრაგედია
„ოიდიპოს მეფე“

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 14 თებერვალს 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ციალა იოსების ასული აბაკელია
—თემაზე: „Рефлекторные влияния с желудка на состав периферической крови при некоторых формах анемии“.

2. ირაკლი ვასილის-ძე ანდღულაძე
—თემაზე: „К вопросу о симметричных пунктах звукового анализатора при образовании одностороннего условного рефлекса“.

ა. წ. 21 თებერვალს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

ალექსანდრე მათეს-ძე მაკარიძე
დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მასალები ღვიძლის ინტოქსიკური ფუნქციის შესახებ შიზოფრენიის დროს“.

ა. წ. 28 თებერვალს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ლეილა მიხეილის ასული ტყემალაძე
— თემაზე: „ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველის გავლენა ღვიძლის ზოგიერთ ფუნქციაზე ექსპერიმენტული ჰეპატიტის დროს“.

2. ივანე ვლადიმერის-ძე ჭანიავშვილი
— თემაზე: „ქ. თბილისის მოსახლეობაში გეოჰელმინთოზების გავრცელების ძირითადი ეპიდემიოლოგიური ფაქტორი“.

მსურველთ შეუძლიათ კაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური

აუწყებს ყველა დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას, რომ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურთან არსებული სპეც. ლაბორატორია აწარმოებს კვების პროდუქტების, წყლის და სამრეწველო პროდუქციის ქიმიურ და ბაქტეროლოგიურ ანალიზებს, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა მავნე გაზებისა და დამტვერიანების ანალიზებს. სამუშაოს შესრულება იწარმოებს ფასგადახდით, სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. ხელშეკრულების დადების ვადა 1956 წლის 15 თებერვლამდე.

ყველა საჭირო საკითხის დასაზუსტებლად მიმართეთ: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 48, რესპ. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია აცხადებს კ ო ნ კ უ რ ს ს

სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:
1-ლი ვიოლინოს ჯგუფში—4 ადგილი
მე-2 ვიოლინოს ჯგუფში—4 ადგილი
ალტის ჯგუფში —2 ადგილი
ჩელოს ჯგუფში —1 ადგილი
კონტრაბასის ჯგუფში —1 ადგილი
საყვირის ჯგუფში —2 ადგილი

განცხადებები მიიღება 1956 წლის 10 თებერვლამდე ორკესტრის ინსპექტორთან ყოველდღე (გარდა სამშაბათისა) დღის 11 საათიდან 2 საათამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8, კონსერვატორიის დიდი დარბაზი, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. კონკურსის პირობების გაგება შეიძლება ზემოაღნიშნული მისამართით. კონკურსი გაიმართება ა. წ. 11 თებერვალს.

ᲓᲦᲔ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ლაკმე, რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, მარჯანიშვილის სახელობის—პიგმალიონი, გრიბოედოვის სახელობის — ნორა, სომხური დრამის — სოსი და ვარდითერი, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 35, 10 ს.), თოჯინების ქართული—დათუნას სამართალი (10 ს.), ფილარმონია — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — სალტანატი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, თბილისი — აღრესატის ძებნა, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი—ჩრდილი ნავმისადგომთან, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი—45-ე კვადრატში, დიდუბე — პედაგოგიური პოემა, კოლმეურნე — სისხლიანი გზა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ
ახალი პროგრამა ატრაქციონი ინდოეთის ლომები
მწვრთნელი რსფსრ დამსახურებული არტისტი
ა. ნ. კორნილოვი
და მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა 3 განყოფილებად ახლად ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირაობით დღის ორი სბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲡᲢᲡ
ესაჭიროება **ინჟინერ-მშენებლები** რაიონებში სამუშაოდ. პირობების გასაგებად მიმართეთ ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას.
თბილისი, ლენინის ქ. № 59, I სართული, ტელეფონი 3-94-67.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ნინო, მედეა გურამ ოჯახებით იუწყებიან
იოსებ დიმიტრის-ძე გაბუნიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან, კოლონტაის ქ. № 10.

შვილები ფატი, დარო, სეფორა, ქოქი, გრიგოლ, ნატალია ოჯახებით იუწყებიან
ეფსტრატეს ზურაბის ასულ გამეზარდაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II სოფელ ღვანკოთში (თერჯოლის რაიონი).

შვილები მარო, სიმონ, აპოლონ, ნინო, თინა, ნატა, ეთერ ოჯახებით იუწყებიან
ანა არტემის ასულ გვინტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II, 3 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება დეპოს ქ. № 50.

მეუღლე მარიამ, შვილები ეკატერინე, თამარ, ანა ოჯახებით იუწყებიან
ალექსი სოლომონის-ძე მიქელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II, 3 ს. ქ. ბაშურაში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სახდაზღვევის და შემნახველი სალაროების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
ალექსანდრე სილიბისტროს-ძე გუგუშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II აბაშაში.

ძმა ჯემალ ოჯახით იუწყება
ხასან ასლანის-ძე ნემსაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II ქ. ქობულეთში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 144.

УЕ 00127 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.